

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტი

22-24 იანვარი, 2020

ზუგდიდი, ბათუმი

ვიზიტის მიზანი: გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის და მიმდინარე ინიციატივების განხორციელების სტატუსის შესწავლა.

ვიზიტის ამოცანები: პროგრამული ინდიკატორების განხილვა; პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მეთოდოლოგია:

- ✓ თანამშრომლებთან გასაუბრება;
- ✓ პროგრამის ბენეფიციარებთან გასაუბრება.

22 იანვარი ზუგდიდი

ქსენონი

მონაწილეები:

ნინო მამულაშვილი - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, პროგრამების კოორდინატორი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ელისო ბიჭაშვილი - იუსტიციის სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ლაშა თვალაშვილი - რეალური ხალხი-რეალური ხედვა, აივ-დადებითი თემის წარმომადგენელი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ნიკოლოზ მირზაშვილი - პაციენტთა კავშირი, ყოფილი ტბ პაციენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ნინო ჯანაშია - ქსენონი, გამგეობის თავმჯდომარე

თამარ პეტრიდისი - ქსენონი, სიოც. მუშაკი

მედეა ჩილაჩავა - ქსენონი, ნკტ კონსულტანტი

ცირა თორდია - ქსენონი, სოც. მუშაკი

პროგრამის ბენეფიციარი

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე - ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ირინა გრძელიძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საზედამხედველო ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების, საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საზედამხედველო კომიტეტის მანდატის, ფუნქციების და მოვალეობების შესახებ.

ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ნინო ჯანაშიამ წარუდგინა კომიტეტის წევრებს ქსენონის თანამშრომლები და დეტალურად მიმოიხილა მათი ფუნქციები, მოახდინა ცენტრის მიერ ბენეფიციარებისთვის მიწოდებული პრევენციული, სადიაგნოსტიკო და სარეაბილიტაციო სერვისების დეტალური აღწერა. ძირითადი სამიზნე პოპულაცია წარმოადგენს ნარკოტიკის ინექციურ მომხარებლებს (ნიმ) და მათ სქესობრივ პარტნიორებს, თუმცა ცენტრი მიზნობრივ ჯგუფთან სავსე სამუშაოების დროს აგრეთვე მოიცავს ზოგად პოპულაციას. ხორციელდება ნებაყოლიობითი კონსულტირება და ტესტირება, ნემსების გაცვლის პროგრამა, და სხვა სახარჯი მასალის მიწოდება სამიზნე ჯგუფებისთვის, B, C აივ, ტბ, სიფილისის სკრინინგი. ორგანიზაცია ჩართულია C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში, უზრუნველყოფილია გლობალური ფონდის პროგრამასთან ჰარმონიზაცია.

სერვისების მიწოდება ხდება როგორც ოფისში, ასევე მობილური ამბულატორიის მეშვეობით. 2019 წლის განმავლობაში აივ-ტესტირებით მოცული ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 2004 (მათ შორის 171 პარტნიორი) ბენეფიციარს, 1541 ბენეფიციარმა ჩაიტარა C ჰეპატიტის ტესტირება. GeneXpert-ის განთავსება ორგანიზაციაში აღმოჩნდა ძალიან ეფექტური, კერძოდ, ტესტირებიდან 24 საათის განმავლობაში შესაძლებელი გახდა პაციენტის მკურნალობაში ჩართვა. ადგილზევე ხდება კონფირმაციული ტესტის ჩატარება - FIND აფინანსებს 6 ლაბორანტის ხელფასს (დაფინანსება ძალაშია მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე). უკვე 2020 იანვარში 50 კონფირმაციული ტესტი გაკეთდა. ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან ისიც აღინიშნა, რომ ხშირად საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს ჩასატარება უწევთ ავადმყოფთან მისი C ჰეპატიტის მკურნალობის პროცესში ჩართვაზე დასათანხმებლად.

2019 წლის განმავლობაში ორგანიზაცია 3534 ბენეფიციარს მიაწოდეს მინიმუმ ერთი სერვისი, ხოლო მინიმალური პაკეტით მოიცვეს 2693 ადამიანი. ასევე 2019 წელს ისინი მოემსახურნენ მხოლოდ 171 პაციენტთა პარტნიორს.

2019 წლის განმავლობაში 2164 ბენეფიციარს ჩაუტარდა ტბ სკრინინგი, აქედან 17 გაიგზავნა ტბ ცენტრში კონფირმაციაზე. თუმცა გადამისამართებულ ბენეფიციარებიდან არც ერთს არ დაუდგინდა ტუბერკულოზი.

ცენტრის თანამშრომლების მხრიდან ხორციელდება ეფექტური მუშაობა მკურნალობის შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით.

სახეზეა ეფექტური და დროული კომუნიკაცია ძირითად მიმღებთან და ზიანის შემცირების ქსელთან. აღინიშნა, რომ ზოგადად არ ხდება წყვეტა სახარჯი მასალების მიწოდების, თუმცა ამ კონკრეტულ ეტაპზე ამოწურულია სიფილისის ტესტების მარაგი და არ აქვთ საინფორმაციო მასალები.

გამოწვევებზე საუბრისას აღინიშნა დაფინანსების შემცირება, რამაც გაართულა პროგრამული ინდიკატორების შესრულება. შემცირებული დაფინანსება ნეგატიურად აისახა შემთხვევების მართვის კომპონენტზე. გაუქმდა შემთხვევების მენეჯერის შტატი, თანხა ჯამური 300 ლარიდან შემცირდა 100 ლარამდე.

აღინიშნა სერვისების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საჭიროება. დაფინანსების შემცირების გამო იკარგება კვალიფიციური კადრი, და ასევე რთულდება სერვისების მაღალი ხარისხის შენარჩუნება. მწირე სასაჩუქრე პაკეტის გამო რთულდება ბენეფიციართა პარტნიორობის ჩართვა. როგორც აღინიშნა, FIND-ის პროექტი სრულდება მიმდინარე წლის მარტში. ორგანიზაციის თანამშრომლებმა გამოთქვეს გაზრდილი დაფინანსების მიღების სურვილი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს გააფართოვონ როგორც ზოგად პოპულაციასთან მუშაობის არეალი, ასევე დაამატონ გარკვეული სერვისები, მაგ. B ჰეპატიტზე ტესტირება/სკრინინგი. საზედამხედველო კომიტეტის წევრები ცალკე შეხვედრის ფორმატში გაესაუბრნენ ბენეფიციარებს, რომლებმაც გამოთქვეს სრული კმაყოფილება მიწოდებული სერვისების თაობაზე, აღნიშნეს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. ორივე ბენეფიციარი ჩართული იყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში; მათ მაღლიერების გრძნობა გამოხატეს ამ უნიკალური შესაძლებლობის გამო. მათი მხრიდან ხდება სხვა ბენეფიციარების მოზიდვა და თანადგომა მკურნალობაში ჩართვის და დასრულების თვალსაზრისით.

23 იანვარი, ბათუმი

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

მონაწილეები:

ნინო მამულაშვილი - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, პროგრამების კოორდინატორი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ელისო ბიჭაშვილი - იუსტიციის სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ლაშა თვალთაშვილი - რეალური ხალხი-რეალური ხედვა, აივ-დადებითი თემის წარმომადგენელი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ნიკოლოზ მირზაშვილი - პაციენტთა კავშირი, ყოფილი ტბ პაციენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

რუსუდან შავიშვილი - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

ნონა ევაძე - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე - ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ირინა გრძელიძემ შეხვედრის მონაწილეებს კიდევ ერთხელ მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საზედამხედველო ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საზედამხედველო კომიტეტის მანდატის, ფუნქციების და მოვალეობების შესახებ.

ქალბატონმა რუსუდან შავიშვილმა ისაუბრა ტუბერკულოზის, აივ-ინფექცია/-შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგისა და დროული გამოვლენის შესაძლებლობების მნიშვნელობაზე და აღნიშნა გლობალური ფონდის წვლილილი ინტეგრირებული სკრინინგის დანერგვაში.

პროგრამის ფარგლებში მოხდა დაახლოებით 340 პირველადი ჯანდაცვის რგოლის გადამზადება ინტეგრირებულ სკრინინგზე. ასევე, ადგილობრივ დონეზე ხდება სახელმწიფო/კერძო პარტნიორების მობილიზება და ამ დაავადებათა მართვის ჰორიზონტალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით „C ჰეპატიტის მართვის“ და „აივ-ინფექცია/შიდსის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სკრინინგისათვის აუცილებელი ტესტებისა და სახარჯი მასალების მიწოდება, ანგარიშების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა ხარისხის კონტროლი და ტექნიკური მხარდაჭერა, ოჯახის ექიმების მიერ რეფერირებული სკრინინგდადებითი ბენეფიციარებისაგან საკვლევი მასალის აღება და კონფირმაცია.

ქალბატონმა რუსუდანმა ხაზი გაუსვა პირველადი ჯანდაცვის პერსონალის უწყვეტი მხარდაჭერის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რგოლის ჩართულობის მნიშვნელობას, რამაც უზრუნველყო პროექტის წარმატებით განხორციელების პროცესი.

პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადგილობრივ თვითმართველობებს, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების დაფინანსებას, ყოველ დასკრინულ პირზე 1.75 ლარის ოდენობით.

ასევე შეხვედრის დროს წარდგენილ იქნა ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივის დეტალები. 6 მუნიციპალიტეტში სულ შერჩეულია 19 შემთხვევის მენეჯერი (ეპიდემიოლოგი), რომლებიც ლაბორანტებთან და ფტიზიატრთან ერთად ატარებენ გასვლით სამუშაოებს მობილური ამბულატორიით -თითო გასვლაზე ხდება დაახლოებით 30 პირის მოცვა. ამჟამად შემთხვევის მენეჯერს გაუფართოვდა ფუნქციები და ის გარკვეულწილად მედიატორის როლს ასრულებს პაციენტსა და ჯანდაცვის სამსახურს შორის. აქ საუბარია პაციენტის მიდევნებაზე და მკურნალობის დამყოლობის პროცესში ბარიერების განსაზღვრაზეც. რაც შეეხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონულ სამსახურს, ის ყველა მუნიციპალიტეტს უწევს კოორდინირებას. ხაზი გაესვა ECHO-ს გამოყენების მნიშვნელობას. ასევე ხორციელდება VOT-ი.

ხაზი გაესვა დაგეგმილი ინოვაციის მნიშვნელობას, რომელიც ითვალისწინებს ციფრული რენტგენისა და ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი აპარატის გამოყენებას, შესაძლებელია ავტომობილში Gene-Xpert-ის დამონტაჟებაც (მობილური ლაბორატორია), რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკას, პროგრამის ეფექტურობას, მათ შორის პაციენტის მიდევნების თვალსაზრისით.

საუბარი შეეხო პაციენტთა მიდევნების მნიშვნელობას, მათი საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის პროცესში დროული ჩართვისა და მკურნალობის დასრულების თვალსაზრისით. აქვე აღინიშნა დამყოლობის კომპონენტის გაძლიერების საჭიროება და პაციენტთა კავშირის ჩართულობის მნიშვნელობა. აღინიშნა, რომ დამყოლობის ჯგუფის მიზანობა ინდივიდუალური მიდგომით ხდებოდა, რაც კიდევ მეტად ზრდიდა ამ პროგრამის ეფექტურობას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებმა აღნიშნეს ეფექტური თანამშრომლობის გამოცდილება ყოფილ პაციენტებთან და არსებული თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაღრმავების სურვილი გამოთქვეს. ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია განხორციელებული დამყოლობის პროექტის გაგრძელება შედეგების შეფასებისა და მისი დახვეწის შემდგომ. აგრეთვე მნიშვნელოვანია დამყოლობის პროექტში ჩართული, გამოცდილი კადრის რესურსების შენარჩუნება და გამოყენება.

განხილულ იქნა სტიგმა-დისკრიმინაციის საკითხი, აღინიშნა რეგიონში მედიის აქტიურობა რაც ხელს უწყობს საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებას. განსაკუთრებით აქტიური იყო მედია C ჰეპატიტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, რაც პოზიტიურად აისახა სტიგმის შემცირების კუთხით. მათ სურვილი გამოთქვეს მსგავსი მედია კამპანიის

განხორციელების ტუბერკულოზის თემაზე, სადაც მნიშვნელოვანია ყოფილი პაციენტების აქტიურობა და ვიდეო რგოლების დამზადება მათი მონაწილეობით.

მონაცემთა ასახვა ხდება, როგორც paper based, ასევე ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. აღინიშნა მონაცემთა აგრეგირების მნიშვნელობა აჭარის რეგიონში ორი მიმდინარე პროგრამის (ინტეგრირებული სკრინინგი, ნულოვანი ტუბერკულოზი) გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით. ასევე, გამოითქვა აზრი, რომ ინტეგრირებული სკრინინგის დროს გამოყენებული ტუბერკულოზის კითხვარი საკმაოდ მოძველდა და სასურველია მისი განახლება.

უზრუნველყოფილია ეფექტური კოორდინაცია და კომუკაცია, ყველა მხარეს შორის, პროგრამების კომპონენტების სრული სინერგია.

კომიტეტის წევრების და სამდივნოს მიერ მოხდა ადგილობრივ მობილურ ამბულატორიის მუშაობაზე დაკვირვება. ცუდი ამინდის მიუხედავად ბენეფიციართა რაოდენობა ოყო წარმომადგენლობითი, რომელთაც ადგილზე, ერთ სივრცეში ჰქონდათ შესაძლებლობა გაეკეთებინათ ტესტი ორ დაავადებაზე და სკრინინგი კითხვარის საშუალებით -მესამეზე(ტუბერკულოზი) და, ასევე, მიეღოთ ექიმის კონსულტაცია. ტესტირების შედეგების მიღება ასევე სწრაფ რეჟიმშია შესაძლებელი და საექვო პასუხის არსებობის შემთხვევაში ხდება პაციენტის დროული რეფერირება შესაბამის კლინიკაში.

კომიტეტის წევრები და სამდივნო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოს წარმომადგენლის თანხლებით ესტუმრა შპს საოჯახო მედიცინის რეგიონულ ცენტრს. კლინიკის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ლალი დავითაძემ დეტალურად აღწერა კლინიკის მიერ მიწოდებული სერვისები. ინტეგრირებული სკრინინგი ხორციელდება როგორც კლინიკაში, ასევე ექიმის უბანზე (ოჯახში) ვიზიტის დროს. მაღალია პაციენტების მხრიდან ნდობის ფაქტორი კლინიკის მიმართ. მონაცემები აისახება ელექტრონულ პლატფორმაში. აღინიშნა, რომ სკრინინგით დაავადების გამოვლენის მაჩვენებელი უფრო მაღალია პაციენტთა მომართვიანობის დროს, ვიდრე უბნებზე გასვლისას. სკრინინგის ჩატარებაზე მოსახლეობის მხრიდან უარის შემთხვევები თითქმის არ აღინიშნება. სტიგმის ფაქტორის გათვალისწინებით, აღმოჩნდა, რომ უფრო კარგად მუშაობს ავადმყოფის საოჯახო მედიცინის ცენტრში ვიზიტის დროს სისხლის კაბინეტში აღება. აღნიშნული ცენტრი არ არის ჩართული C ჰეპატიტის მკურნალობის პროცესში. ცენტრის დირექტორის მხრიდან გამოითქვა დაფინანსების გაზრდის სურვილი.

პაციენტთა კავშირი- ზუგდიდი და ბათუმი, 22-23 იანვარი.

მონაწილეები:

ნინო მამულაშვილი - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, პროგრამების კოორდინატორი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ელისო ბიჭაშვილი - იუსტიციის სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ლაშა თვალაშვილი - რეალური ხალხი-რეალური ხედვა, აივ-დადებითი თემის წარმომადგენელი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

ნიკოლოზ მირზაშვილი - პაციენტთა კავშირი, ყოფილი ტბ პაციენტი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

თინათინ ხარეზავა - პაციენტთა კავშირი, ზუგდიდი

დავით ალხაზაშვილი - პაციენტთა კავშირი, ბათუმი

თენგიზ ჩოგაძე - პაციენტთა კავშირი, ბათუმი

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე - ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

საზედამხედველო კომიტეტის წევრები სამდივნოსთან ერთად შეხვდნენ 'პაციენტთა კავშირის' წარმომადგენლებს, ზუგდიდში 22 იანვარს, ხოლო ბათუმში 23 იანვარს.

'პაციენტთა კავშირის' წარმომადგენლებმა ისაუბრეს როგორც საპილოტე, ასევე ერთ წლიან პროექტზე. ზუგდიდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი მუშაობდნენ როგორც სენსიტიურ, ასევე რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან. 5 ადამიანისგან შემდგარი გუნდი მუშაობდა პაციენტებთან, რომელთაგანაც განსაკუთრებული როლი ჰქონდა თანაგანმანათლებლებს. პროექტის განხორციელების პროცესში მათ მოიცვეს 35 პაციენტი, რომელთაგანაც ყველამ დაასრულა მკურნალობა. მათ აქტიური თანამშრომლობა ჰქონდათ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ასევე კლინიკებთან და შესაბამისად ხდებოდა პაციენტების საჭიროებიდან გამომდინარე მათი გადამისამართება/ გაყოლა კლინიკასა თუ ორგანიზაციაში.

ტბ ცენტრის დამცოლობის კონსულტანტთან არ გამოიკვეთა პოზიტიური თანამშრომლობა, დროული რეფერალი. თუმცა პაციენტთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ცენტრის თანამშრომლებთან ჰქონდათ მუდმივი კომუნიკაცია, მათი მხრიდან შესრულებული სამუშაოს ანგარიშგების მიზნით.

'პაციენტთა კავშირის' მიერ გამოიხატა გულისტკივილი პროექტის დასრულების გამო, რადგან მათი აზრით, რეგიონში მისი გაგრძელების საჭიროებას სასიცოცხლო მნიშვნელობა

აქვს. აღნიშნა პროექტის დაწყებამდე შეწყვეტილი მკურნალობის მაჩვენებელი იყო მაღალი -15%, რაც მათი აზრით, გაპირობებული იყო ცნობიერების არასაკმარისი დონით, სტიგმით, და სხვ. პროექტის დასრულების მომენტში კი ეს მაჩვენებელი გახლდათ 3%. ხაზი გაესვა ასევე იმ ფაქტს, რომ ზოგადად, პროექტის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა სათემო ორგანიზაციების განვითარება. აღნიშნა პროექტში დასაქმებული კადრების სიძლიერე. დასრულებული პროექტის მიუხედავად 'პაციენტთა კავშირის' თანამშრომლებს დღესაც აქტიური კომუნიკაცია აქვთ პაციენტებთან და აგრძელებენ მათ დახმარებას, ძირითადად კონსულტაციის მიწოდების გზით.

ბათუმის 'პაციენტთა კავშირის' წარმომადგენლებმა, რომლებიც თვითონ იყვნენ ყოფილი პაციენტები დეტალურად აღწერეს მათ მიერ გაწეული მუშაობა. მათ აღნიშნეს, რომ ტბ ცენტრის ხელმძღვანელობასთან აქვთ ეფექტური კომუნიკაცია, რაც აისახება პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ცენტრის დამყოლობის კონსულტანტის მიერ დროულად ხდება 'პაციენტთა კავშირის' ჩართვა და ერთობლივად ხდება შემთხვევების მართვა.

მათ აღნიშნეს, ტბ ცენტრის ხელმძღვანელის ბატონი დიმიტრი ცეცხლამის მიერ გაწეული მხარდაჭერის მნიშვნელობა, მისი აქტიური ჩართულობა პროექტის ერთობლივ განხორციელებაში ეფექტური შედეგების მიღწევის მიზნით.

დამყოლობის პროექტმა აჭარის რეგიონში მოიცვა დაახლოებით 50 პაციენტი. აქედან მხოლოდ 3 შემთხვევა ჰქონდათ მკურნალობის შეწყვეტი, პაციენტთა მიგრაციის გამო. თუმცა ერთმა პაციენტმა, რომელმაც პაციენტთა კავშირის მიერ მუდმივი ონლაინ კონტაქტის საშუალებით გააგრძელა მკურნალობა და განკურნებული დაბრუნდა საქართველოში.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს პროექტის გაგრძელების სურვილი და მზაობა, მათ აღნიშნეს ის ხარვეზები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალ პროექტში. კერძოდ: დამყოლობის პროგრამის გუნდი არ უნდა იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაქირავებული. ისინი უნდა იყვნენ ერთი ორგანიზაციის თანამშრომლები, რაც იქნება გუნდისთვის ხელშემწყობი ფაქტორი ეფექტური მუშაობისთვის. ასევე ორივე რეგიონის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროექტის რეალური შედეგების მისაღწევად არ არის საკმარისი 1 წელი.

პაციენტთა კავშირის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან ნაყოფიერი თანამშრომლობა და გამოთქვეს მზაობა და სურვილი მიიღონ მონაწილეობა მედია კამპანიაში, როგორც ყოფილმა პაციენტებმა, რომლებიც არსებული მხარდაჭერი პირების და სერვისების საშუალებით განიკურნენ.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შემფოთება ბათუმში ერთ-ერთი DOT ცენტრის (ბენზეს დასახლება) დაგეგმილი გაუქმების თაობაზე. ამის შემდეგ ბათუმში დარჩება მხოლოდ ერთი DOT ცენტრი რაც ძალიან დიდ ბარიერს შეუქმნის პაციენტებს მკურნალობის გაგრძელებაში გეოგრაფიული ხელმისაწვდომლობის გათვალისწინებით. ორგანიზაციის

წარმომადგენლება სთხოვეს საზედამხედველო კომიტეტის წარმომადგენლებს საკითხის
საბჭოზე დაყენება და შესაბამისი დახმარების გაწევა რეგიონისთვის.